განცხადება, ქ. თბილისის არქიტექტუსი სამსახურს

ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №3-ში მდებარე სასტუმროს პროექტი შესრულებულ იქნა ჩემს მიერ და თანახმა ვარ წარმოდგენილ პროექტში რომელიც დამტკიცდა ბრძანების ნომრით №1034456, განხორციელდეს ცვლილება და მოხდეს პროექტის კორექტირება დავით მაჭარაშვილის მიერ.

ნიკოლოზ ჩხაიძე

8.07.2014.

AcroPDF - A Quality PDF Writer and PDF Converter to create PDF. To remove the line, buy a license.

ქ.თბილისში ბოჭორმის ქუჩა #3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოვითხოვეთ ქალაქგეგმარებითი პარამეტრების გაზრდა. დადგენილი პარამეტრებით K2 კოეფიციენტი წარმოადგენდა 4,6, ხოლო მოთხოვნის შედეგად კოეფიციენტი გაიზარდა და გახდა 5,6.

K2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადასახადი შეადგენს 1483 ლარს. მოსაკრებელი გადახდილი იქნება მშენებლობის ნებართვის მიღებისთანავე.

დავრიშ რზგოიანი

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 1221

„ 12 „ ივნისი 2013 წ.

ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 5 ივნისის სხდომის №22 ოქმის შესაბამისად:

1.ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=5,6.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE30LB0125152101628558.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160 „ შარვაშიძის ქუჩა №7 ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200